მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N6
17 მარტი 2021 წ.

დაბა მესტია

,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №23 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2020, სარეგისტრაციო კოდი 280120000.35.103.016344) შეტანილ იქნეს ცვლილება:

დადგენილებით დამტკიცებული დანართის III თავის, მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ზ)“ სხვადასხვა სახის გონებრივი და ფიზიკური განვითრების შეფერხების მქონე ბავშვთა დაფინანსება/თანადაფინანსების მოხდეს უნაღდო ანგარიშსწორების გზით, შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე, დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი) შესაბამისად 2000 (ორი ათასი) ლარიანი ლიმიტის ფარგლებში (გადარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის-ინვოისის შესაბამისად).”

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მესტიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მაიზერ ჯაფარიძე**